პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 241 (11852)

შაბათი, 15 ოქტომბერი, 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

ძმური სალამი ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემის სრული მოსპობისათვის!

მსოფლიოს ხალხებო! იბრძოლეთ, რომ მიიღოს სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება ყველა კოლონიურ ქვეყანას!

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 43-ე წლისთავისათვის).

გამარჯვებათა მგზნებარე მოწოდებები

დიდება დიდ ოქტომბერს, რომელმაც დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალიზმის დამსხვრევისა და სოციალიზმის გამარჯვების ერა!

წელს ორმოცდამესამეჯერ გაიხსნის ჩვენი დიდი პარტიის საოქტომბრო მოწოდებები ეს შესანიშნავი სიტყვები, როგორც მსოფლიოს ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, მშვიდობისა და სრული განიარაღებისათვის ბრძოლის მძლავრი სიმფონია.

მშვიდობისათვის, სრული განიარაღებისათვის შთამაგონებელი ბრძოლის მგზნებარე მედროშეა საბჭოთა კავშირი — მსოფლიოში უმძლავრესი ქვეყანა თავისი სამეურნეო და კულტურული ცხოვრებით, თავისი ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფო წყობილებით. იგი წარმატებიდან წარმატებისაკენ მიჰყავს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც შეიარაღებულია მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებით.

გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილ დროშას, ყველა ქვეყნის მშრომელთა მძლავრ იდეურ იარაღს!

მსოფლიო ახლა ის არ არის, რაც ადრე იყო. XX საუკუნის მეორე ნახევარი ისტორიაში შევა როგორც კაპიტალიზმის მზის ჩასვენების ეპოქა, ადამიანთა საზოგადოების არსებობის ფორმების სწრაფი განახლების, უფრო პროგრესული სოციალური წყობილებისაკენ უმაგალითო აღმავლობის ეპოქა.

გამოცვლა მსოფლიო, გამოიცვალა აგრეთვე ძალთა თანაფარდობა. „თანამედროვე მსოფლიოში, — თქვა თავის გამოსვლაში გენერალურ ასამბლეაზე ნ. ს. ხრუშჩოვმა, — რეალური ვითარება ისეთია, რომ ორი ყველაზე მძლავრი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ძალები სულ ცოტა თანაბარია, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ სხვა სოციალისტურ ქვეყნებსაც, აგრეთვე ყოფილ კოლონიურ ქვეყნებს, ცხადი იქნება, რომ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა მხარეზეა არა მარტო უფლება და სამართლიანობა, არამედ ძალაც“.

ქვეყნები, რომლებმაც მოიშორეს კოლონიალიზმის უღელი და ახალი ცხოვრება დაიწყეს, საარსებოდ არიან დაინტერესებულნი მშვიდობის საქმის განმტკიცებით. ისინი მედგრად უმერენ მხარს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას.

ყველა ქვეყნის ხალხებო! — იბრძოლეთ მშვიდობისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის! გაფანტეთ ამხილეთ ომის იმპერიალისტი ბანდიტები — კაცობრიობის მტრები!

სიმართლის მარცვლები, სიცოცხლის მარცვლები, რომლებსაც საბჭოთა კავშირი, სოციალიზმის ეს ციალი ქვეყანა დაუღალავად თესავენ, მიაღწევს ადამიანთა გონებას. სიმართლე და სიცოცხლე გაიმარჯვებს.

მთელ მსოფლიოში მშვიდობის გამარჯვების გადამწყვეტი ფაქტორია სოციალისტური ბანაკი, რომელიც დღითიდღე ძლიერდება, მტკიცდება და აერთიანებს მსოფლიო ხალხების ერთ მესამედზე მეტს.

გაუმარჯოს სოციალიზმის მძლავრ მსოფლიო სისტემას — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ურყევ ბურჯს! დაე აყვავდეს და მტკიცდებოდეს სოციალისტური ბანაკის ძველების დიადი თანამეგობრობა!

პარტია თავის დიად მოწოდებებში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე, ინტელიგენციის წინაშე აყენებს დიადი შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების კონკრეტულ ამოცანებს.

იბრძვიან რა შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის მრეწველობის მუშაკებმა მიაღწიეს ახალ-ახალ წარმატებებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში ნათქვამია, რომ ჩვენი დიადი ქვეყნის მრეწველობამ ცხრა თვის გეგმა შეასრულა 103 პროცენტით, სამრეწველო წარმოების მოცულობა შარშანდელთან შედარებით გადიდდა 10 პროცენტით.

ჯერ კიდევ სამეურნეო წლის დასაწყისში, ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, საქართველოს სს რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა, ფართოდ გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება, იკისრეს ახალი ვალდებულებანი შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ყველა მაჩვენებლის მიხედვით წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

გაჩაღებული შეჯიბრების მონაწილეთა პირველ რიგებში არიან მძიმე მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები. რუსთავის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის კომუნისტური შრომის ბრიგადები, დამკვრელები და ყველა მშრომელნი ენერგიის დაუზოგავად შრომობენ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის. აქ ცხრა თვის დავალება ვადამდე სრული მეტალურგიული ციკლით შესრულეს და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს რამდენიმე ათეული ათასი ტონა ფოლადი, თუჯი, მილები და სხვა პროდუქცია, მნიშვნელოვნად შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება და მიიღეს დიდი ზეგეგმიური დაგროვება.

შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, შემდგომი ტექნიკური პროგრესისთვის ფართოდ გააჩაღეს შეჯიბრება ჭიათურის მაღაროელებმა. სტალინის, კალინინისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროთა კოლექტივებმა უკვე შეასრულეს ათი თვის დავალება და მარგანეცს ნოემბრის ანგარიშში იძლევიან.

თავდადებით შრომობენ საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკები. ისინი ცდილობენ განახორციელონ პარტიისა და საბჭოთა თავრობის გადაწყვეტილება ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოების განვითარების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების დანერგვას.

სახალხო მოხმარების საგნების წარმოების პასუხსაგებ დავალებათა წარმატებით შესრულებას ცდილობენ მსუბუქი, კვებისა და მრეწველობის სხვა დარგების მრავალრიცხოვანი მუშათა არმია, ინჟინრები და ტექნიკოსები.

დიდი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის დარგში. გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ხულ ახალი და ახალი რაიონები უპატაკებდნენ სამშობლოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების შესრულებას. განსაკუთრებით დიდ შრომითს გამარჯვებას მიაღწიეს რესპუბლიკის მეჩაიეობის რაიონებმა. მათ პირნათლად შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება, სახელმწიფოს მიჰყიდეს 146 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მკვეთრად განვითარდა საზოგადოებრივი მეცხოველეობა. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა რვა თვეში სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა 105,7 პროცენტით შეასრულეს.

საბჭოთა კავშირის მეშრომელებო! სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება თვითეული საწარმოსა და მეშენებლობის, თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის ღირსების საქმეა! უფრო ფართოდ გაშალოთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება 1960 წლის — შვიდწლედის მეორე წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის!

ჩვენი ქვეყნის ყველა გამარჯვების, მისი გრანდიოზული წარმატებების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. დიდი ზეიმის წინ საბჭოთა ქვეყანაში კიდით კიდემდე გაისმის საოქტომბრო მოწოდებების მგზნებარე სიტყვები:

გაუმარჯოს ლენინის მიერ შექმნილ სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიდ შთამაგონებელ და მაორგანიზებელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

გაუმარჯოს კომუნიზმს — მთელი კაცობრიობის ნათელ მომავალს!

მოსკოვი ეგებება მშვიდობის მოციქულს

ნ. ს. ხრუშჩოვი დაბრუნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიიდან

14 ოქტომბერს „ტუ-114“ ტურბხრახნიანი ლაინერით, რომელიც ნიუ-იორკიდან მოსკოვში დაუკდომლად გადმოფრინდა, სამშობლოში დაბრუნდა მეთაური საბჭოთა დელეგაციისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეის XV სესიაზე ი. კადარი, უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაური ნ. ვ. პოდგორნი, ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაური კ. ტ. მაზურეკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესია ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ უკვე ახლა შეიძლება მტკიცედ ითქვას, რომ იგი ისტორიაში შევა როგორც ომისშემდგომი პერიოდის თვალსაჩინო მოვლენა.

სესიის მუშაობაში საბჭოთა დელეგაციის, სოციალისტური ქვეყნების დელეგაციების, აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის მთელი რიგი სახელმწიფოების დელეგაციების მონაწილეობამ, რომლებსაც მეთაურობდნენ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები, ცოცხალი ნაკადი შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობაში.

საბჭოთა კავშირის ხალხები გულმოდგინედ ადევნებენ თვალყურს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის მუშაობას. ისინი მხურვალედ უმერენ მხარს საბჭოთა დელეგაციის წინადადებებს ამ სესიაზე, იწონებენ დელეგაციის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის საქმიანობას.

მოსკოვი მხურვალედ და გულითადად შეეგება მშვიდობის მოციქულს.

ასობით მშრომელი შეიკრიბა ვნუკოვოს აეროდრომის საფრენ ველზე. ბევრს ყვავილების თაიგულები აქვს. გულმოდგინედ უსმენენ ისინი ცნობებს რადიოთი „ტუ-114“ ლაინერის ფრენის შესახებ. ერთმანეთს უზიარებენ აზრებს.

პერსონალური პენსიონერი ბ. ბაშკიროვი ამბობს:

— გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესია ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიაში. ეს მოხდა ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივის მეოხებით, რომელმაც შეიტანა წინადადება თანაბარუფლებიანობის მთავარი გადაუდებელი პრობლემები განეხილათ მთავრობათა მეთაურების მონაწილეობით.

— საყოველთაო და სრული განიარაღება, კოლონიალიზმის სისტემის ლიკვიდაცია ის საკითხებია, რომლებზეც დამოკიდებულია მთელი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობა და ბედნიერება.

— გენერალური ასამბლეის მე-15 სესიამ, — თქვა მოსკოვის ერთ-ერთი საწარმოს მუშამ ლევ კირილინმა, — დიდი იმედი აღუძრა კაცობრიობას.

აეროვაგზლის შენობაზე მაღლა აღმართულია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმები.

ვნუკოვოს აეროდრომზე მოვიდნენ ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ა. მუხიტდინოვი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, დ. ს. კოროტჩენკო, ი. ე. კალნბერზინი, ა. პ. კირილენკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები ნ. ნ. ორგანოვი და ი. ი. პალეციკისი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. თ. ზასიადკო, ვ. ნ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები ს. მ. ბუდიონი, კ. ე. ვოროშილოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე პ. პ. ლობანოვი, სსრ კავშირის მინისტრები და რუსეთის სფსრ მინისტრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, საბჭოთა კავშირის მარშალები, ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები და სხვა ოფიციალური პირები.

აეროდრომზე აგრეთვე იყვნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ბელა ბისკუ, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი იშტვან სირმაი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში გეზა რევესი.

შემხვედრთა შორის იყვნენ საბჭოთა კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, მრავალი საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტი.

აეროდრომზე დადგმულ მძლავრ რეპროდუქტორებს შორს მიაქვთ დიქტორის ხმა.

17 საათსა და 07 წუთზე საბჭოთა ლაინერი დაეშვა და მოადგა აეროპორტის შენობას. ტაშის გრიალი, „ვაშას“ შეძახილები მიეფინა აეროდრომს, როცა ტრაპზე გამოვიდა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი. იგი ღიმილით მიესალმა შეხვედრის მონაწილეთ.

ტრაპთან მივიდნენ საბჭოთა ხელმძღვანელები. მათ მაგრად ჩამოართვეს ხელი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს და მასთან ერთად ჩამოსულ სხვა დელეგაციათა მეთაურებს.

ნიკიტა სერგის-ძესთან მიირბინეს ბავშვებმა და ყვავილების თაიგულები მიართვეს.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი მიესალმა უცხოელ დიპლომატებს.

კვლავ იწყება მქუხარე ოვაცია, გაისმის „ვაშას“ შეძახილები, როცა საბჭოთა მთავრობის მეთაური მიდის მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლებთან. აეროდრომზე რამდენიმე წუთს ისმის მისასალმებელი შეძახილები, მილოცვა სამშობლოში დაბრუნების გამო.

ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანამგზავრები სხდებიან მანქანებში და ქალაქში მიდიან. მათ გულთბილად მიაცილებენ შეხვედრის მონაწილენი.

სამი დღის განუწყვეტელი წვიმის შემდეგ 14 ოქტომბერს შემოდგომის თბილი დღე დადგა. უკვე მეჩხერი, მაგრამ ჯერ კიდევ მშვენიერი ტყის მკაფიო ფერებით შეხვდა რუსეთის მიწა-წყალი ოკეანესგაღმიდან დაბრუნებულ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს.

პირველივე კილომეტრები ვნუკოვოს გზატკეცილისა, რომელიც აეროპორტს ქალაქთან აერთებს, სავსე იყო შემხვედრებით. შემოდგომის ოქროსფერი ფოთლების თაიგულები მოიტანეს სოფლების მცხოვრებლებმა.

მოსკოვის ოლქის რუმიანცევოს საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეები, მექანიზატორები, მებოსტნეები შეიკრიბნენ გზატკეცილის ახლოს. ბევრ მათგანს ხელში ბავშვი ჰყავს.

რაც უფრო უახლოვდებიან მოსკოვს, შემხვედრთა რიცხვი მატულობს. მანქანის ღია ფანჯრიდან ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ხელს უქნევს მათ, უპასუხებს მისალმებაზე.

გზატკეცილის გაყოლებით და ლენინის პროსპექტზე მრავალი ათეული ათასი ადამიანი შეიკრიბა. ისინი მხურვალედ ულოცავენ საბჭოთა მთავრობის მეთაურს საშობლოში დაბრუნებას. მისალმებათა შეძახილები მოისმის სახლების აივნებიდან. გამარჯვებას უსურვებენ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას. ჩვენს სამშობლოს, რომელიც მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდში დგას. (საკდესი).

ჩექი რესპუბლიკის დღე

დიდი ოქტომბრის 43-ე წლისთავის შესახვედრად

დროს გაუსწრეს

ჭიათურა. (საკ. კორ.). გამართულად, რენტაბელურად მუშაობს ი. ბ. სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელმაც დროს გაუსწრო და მარგანეცს ნოემბრის მეორე ნახევრის ანგარიშში იძლევა. მარტო მიმდინარე სამეურნეო წლის რვა თვეში აქ თვითღირებულების შემცირებით 848.000 მანეთი დაზოგეს.

ცვლამ, რომელსაც ი. ზამბახიძე ხელმძღვანელობს, კარგა ხანია მოიპოვა კომუნისტური შრომის სამტიო წოდება. მაღაროს ჰყავს კომუნისტური შრომის 25 დამკვრელი. მათ შორის არიან წარჩინებული მაღაროელები გ. ფხალაძე, ბ. დოღაძე, ა. მაჭარაშვილი, ა. კიპაროიძე, ბ. კაკაბაძე, დ. მაჭავარიანი, ა. ლომთაძე და სხვები.

მაღაროს კოლექტივმა ამ დღეებში ახალი პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინა. აქ გულდასმით გამოიანგარიშეს თავიანთი რეზერვები და გადაწყვეტეს გააჩაღონ ბრძოლა კომუნისტური შრომის მაღაროს სამტიო წოდებისათვის.

მაღაროელებმა იკისრეს წელს სამშობლოს წლიური დავალების გადამეტებით მისცენ 30.000 ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი, ხოლო შვიდწლიანი გეგმა შეასრულონ ერთი წლით ადრე. მარტო მიმდინარე წელს შვიდწლედის ფონდში შეტანონ სულ მცირე 900.000 მანეთი.

მაღაროს კოლექტივი იბრძვის, რათა ი. ბ. სტალინის სახელობის მაღაროს გახდეს მაღალი კულტურის, სანიმუშო შრომის, წესრიგის და ყოფის საწარმოდ.

უპატაკებენ სამშობლოს

ჭიათურა. რაიონმა 10 ოქტომბერს რესპუბლიკაში პირველმა 110 პროცენტით შესრულა სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის წლიური გეგმა.

სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვა გრძელდება.

ახმეტი. რაიონმა 10 ოქტომბერს შესრულა სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა. პარკის დამზადება გრძელდება. (საკდესი).

ბრძვიან, იმარჯვებენ

თბილისი. შამპანური ღვინოების ქარხნის კოლექტივმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავად გადიდებული ვალდებულება იკისრა და წარმატებით იბრძვის მისი განაღდებისათვის.

დიდი ოქტომბრისათვის მზადების დღეებში საწარმოს კოლექტივმა კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობის ტემპი, 9 თვის დავალება დიდი გადაჭარბებით შესრულა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა 300 ათასი ბოთლი შამპანური ღვინო. ნაყოფიერი მუშაობის შედეგად მნიშვნელოვნად შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და განვლილ პერიოდში დაზოგა 597 ათასი მანეთი.

საწარმოს ამ საერთო წარმატებაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი პროდუქციის გაფორმების ბრიგადამ, რომელსაც გ. ცაბოლოვა ხელმძღვანელობს. ბრიგადაში კარგი მუშაობით გამოირჩევიან ე. აფციაური და ი. აბრამიშვილი.

ქარხნის კოლექტივი ახლა წარმატებით შრომობს იმისათვის, რომ ვადამდე შესრულოს წლიური დავალება.

ზ ო რ ჯ ო ნ ი ძ ე. ზ. ი. კალინინის სახელობის შუშის ქარხნის კოლექტივმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავად გადიდებული ვალდებულებანი იკისრა და წარმატებით იბრძვის მისი განაღდებისათვის.

დიდი ოქტომბრის 43-ე წლისთავის მზადების დღეებში საწარმოს კოლექტივმა კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობის ტემპი და 1 ოქტომბრისათვის ათი თვის გეგმა შეასრულა. აქ ყოველდღიურად 150 ათას ნახევარლიტრიან ბოთლს უშვებენ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 130 ათასისა.

საწარმოში თავდადებული მუშაობით განსაკუთრებით გაითქვეს სახელი შუშის მხარშავებმა ზ. ტეფნაძემ და ი. ბერაკჩიანმა. მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია მუდამ მაღალ შეფასებას იღებს.

სურათზე: ზ. ტეფნაძე (მარცხნივ) და ი. ბერაკჩიანი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ფართოვდება ვაჭრობა

სსრ კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეგვიპტის რაიონის ეკონომიკის მინისტრი ჰარან აბას ზაკი, რომელიც მოსკოვს ჩამოვიდა საბჭოთა კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის სავაჭრო ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე მოლაპარაკებისათვის, 11 ოქტომბერს შეხვდა საბჭოთა ჟურნალისტებს.

ეგვიპტის მინისტრმა თქვა, რომ მისი ქვეყანის ინდუსტრიალიზაციის ჯუთფლიანი გეგმის შესრულება, ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობა, აგრარული სამუშაოები, რაც ახლა ხორციელდება, ხელს შეუწყობს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის გაფართოებას. რადგან საბჭოთა კავშირი, განაცხადა ჰასან ზაკიმ, ერთ-ერთი ჩვენი ძირითადი პარტნიორია ვაჭრობაში, ჩვენ უნდა მოველოდეთ ვაჭრობის გაფართოებას უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან. მან განაცხადა, რომ უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში ვაჭრობის მოცულობა სსრ კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის დაახლოებით 10-11-ჯერ გადიდდა და ამჟამად 86 მილიონ ეგვიპტურ გირვანქას უდრის.

ჰასან აბას ზაკიმ განაცხადა, რომ მოსკოვში განხილული იყო გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმების პროექტის ძირითადი პუნქტები. შემდგომისათვის გადაწყვეტილია შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც მოამზადებს შეთანხმების პროექტს, და ვაჭრობის მოცულობის გადიდების მიზნით განიხილავს ურთიერთ მისაწოდებელი საქონლის დამატებით ნუსხას. საბჭოთა კავშირში შეთანხმების დასადებად ერთი-ორი თვის შემდეგ ჩამოვა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სპეციალური დელეგაცია.

(საკდესი).

გაღის გარაქით ხაროგენ

ასპინძა. („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). ნაყოფით დახუნძლულა ასპინძის ბაღები. ახლა აქ გორებად დგება, ადგილზეევე ხარისხდება და სახელმწიფოს ბაღდება ორობენ, ხარისხითა და ამტანობით განთქმული მესხური ხილი.

ბაღში კოლეიტურნეობის თავმჯდომარეს კონსტანტინე ბეგაძეს შეეხვედით.

— საადრეო ჯიშებიდან, — გვითხრა მან, — ჰექტარზე 90-95 ცენტნერ ვაშლს ვიღებთ. უკვე მოვკრიფეთ და სახელმწიფოს მივიყიდეთ 25 ტონა მაღალხარისხოვანი ვაშლი, სულ კი 60 ტონას მივიყიდით ნაცვლად 35 ტონისა. მარტო საადრეო ჯიშებიდან ვაშლი ჰექტარზე საშუალოდ 105-110 ცენტნერი მოვა, მეხილეობით მიღებული ფულადი შემოსავალი კი თითქმის მილიონ მანეთს მიაღწევს.

ასპინძური ხილის მაღალ ღირსებასა და ხარისხზე მეტყველეს ის, რომ საკავშირო სასოფლოსამეურნეო გამოფენაზე აქაური ვაშლის ექსპონატებმა სამჯერ მიიღო პირველი ხარისხის დიპლომი.

განთიადიდან დაღამებამდე არ წყდება ტრიამფული ასპინძის ბაღებში. ჯარასავით ტრიალებენ საშუალო სკოლადამთავრებული მეხილე გოგონები მერი ფოცხვერაშვილი, ნაზი ლოლაძე და სხვ. ჭიგოების შედგმაზე, კრეფასა თუ დახარისხებაზე ენერგიულად შრომობენ გამოცდილი მებაღეები შუშანა ფოცხვერაშვილი და აფთონა ხვედელიძე...

ბაღის ბარაქით ხარობენ ასპინძელები.

ნ. ს. ხრუშჩოვი

სამშობლოში გამოემგზავრა

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). 13 ოქტომბერს 23 საათსა და 47 წუთზე ნიუ-იორკის დროით (14 ოქტომბერს 6 საათსა და 47 წუთზე მოსკოვის დროით) სამშობლოში გაემგზავრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც მეთაურობდა საბჭოთა დელეგაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე.

ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად „ტუ-114“ თვითმფრინავით ნიუ-იორკიდან გაფრინდნენ უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაური ნ. ვ. პოდგორნი, ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაური კ. ტ. მაზურეკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, მეთაური უნგრეთის დელეგაციისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე ი. კადარი.

ნიუ-იორკის აიდლუაილდის აეროდრომზე ნ. ს. ხრუშჩოვი გააცილეს: საბჭოთა კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვ. ა. ზორინმა, სსრ კავშირის ელჩმა შეერთებულ შტატებში მ. ა. მენშიკოვმა, უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა ლ. ო. პალამარჩუკმა. ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა კ. ვ. კისელიოვმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. რაპაცკიმ და საბჭოთა კავშირის ნიუ-იორკის კოლონიის წევრებმა.

აეროდრომზე ნ. ს. ხრუშჩოვმა გააკეთა განცხადება.

საბჭოთა მთავრობის მეთაური გულთბილად გამოეთხოვა ყველა გამცილებელს. მას ყვავილთა თაიგულები უძღვნეს. თვითმფრინავის გაფრენამდე ნ. ს. ხრუშჩოვი ეხუმრებოდა გამცილებლებს და უსურვა საბჭოთა კავშირის ნიუ-იორკის კოლონიის ყველა წევრს ბედნიერება და წარმატება მუშაობაში.

გამცილებლებმა, თავის მხრივ უსურვეს ნ. ს. ხრუშჩოვს ჯანმრთელობა, შინ მშვიდობით დაბრუნება და ბედნიერება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1960 წლის 14 ოქტომბერს, სიცოცხლის მე-80 წელს უეცრად გარდაიცვალა ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო მეცნიერი-ფიზიკოსი, სკკპ წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი აბრამ თეოდორეს-ძე იოფე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

აეროდრომზე ნიუ-იორკიდან გამგზავრებისას 1960 წლის 13 ოქტომბერს

ღღეს მე, აგრეთვე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ამხანაგი გრომიკო და სხვა ამხანაგები სამშობლოში ვბრუნდებით. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მუშაობაში იქნება ამხანაგი ზორინი.

ჩვენ მივდივართ ისე, რომ კარგ გუნებაზე ვართ, რადგან მიგვაჩნია, რომ დაისახა ერთგვარი იმედი, შესაძლებლობა გვეძლევა იმედი ვიქონიოთ, რომ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო საკითხები გადაიჭრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საშუალებით, გენერალური ასამბლეის სხდომებზე. ჩვენ განსაკუთრებით კმაყოფილი ვართ იმ გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებულია კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაციის პრობლემის შესახებ.

ჩვენ ვხარობთ ორნაირად: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მიღებულია ასეთი გადაწყვეტილება. შემძლია, რასაკვირველია, ვთქვა, რომ მიღებულია მხოლოდ საპროცედურო გადაწყვეტილება აღგილის შესახებ, სადაც ეს საკითხი განიხილება. მაგრამ ეს გადაწყვეტილება ხომ ერთსულოვნად მიიღო ყველა დელეგაციამ, ეს კი ისე უნდა გავიგოთ, რომ გენერალურ ასამბლეას საერთოდ საჭიროდ მიაჩნია მოისპოს კოლონიური რეჟიმი.

მეორე, ჩვენ ვხარობთ იმიტომ, რომ სწორედ საბჭოთა კავშირმა ყველა სოციალისტური ქვეყნის მხარდაჭერით წამოაყენა ეს საკითხი განსახილველად. და ჩვენ მხარი დაგვიჭირა ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანამ. საზოგადოებრიობის ზეგავლენით კოლონიატორები იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ, შეერთებულნენ ყველა დელეგაციას გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილების მიღების დროს.

მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ეს მარტო იმ ხალხების დიდი გამარჯვება როდია, რომლებიც თავიანთი დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. ეს მსოფლიოს ყველა ხალხის დიდი გამარჯვებაა.

განიარაღების საკითხის განხილვისას ყველა დელეგატს რომ გამოეჩინა ასეთივე ნებისყოფა და სმტკიცე, მათ რომ შეეგნოთ ახლანდელი მდგომარეობის მთელი საშიშროება, რაკეტულ-ატომური ომის ატეხის საფრთხე, გენერალური ასამბლეა გადადგამდა დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს საყოველთაო და სრული განიარაღების გზაზე.

მე მხედველობაში მაქვს, უმთავრესად, აზიისა და აფრიკის ქვეყნები, იმიტომ რომ ნატოს, სეატოსა და სენტოს აგრესიულ სამხედრო ბლოკებში შემავალი ქვეყნების პოზიცია სავსებით ნათელია. ისინი განიარაღების წინააღმდეგი არიან, ისინი მხარს უჭერენ მხოლოდ შეიარაღებისადმი კონტროლს, ეს კი, რასაკვირველია, არ არის განიარაღება მტკიცე საერთაშორისო კონტროლით, რისთვისაც განუხრელად ვიბრძვით ჩვენ.

ჩვენ გვჯერა, რომ დადგება დრო, როცა ყველა ქვეყნის ხალხები ღრმად შეიგნებენ და მიხვდებიან, რომ საჭიროა აქტიური ბრძოლა განიარაღებისათვის, გამოიჩენენ თავიანთ ნებას, და მაშინ განიარაღება განხორციელდება. საბჭოთა კავშირი თავის მხრივ მზად არის ყოველი ღონე იხმაროს, რომ მიღწეულ იქნას საყოველთაო და სრული განიარაღება, და ჩვენ სულითა და გულით მივესალმებით ასეთ გადაწყვეტილებას.

ჩვენ გვისაყვედურებენ, რომ პროპაგანდას ვეწევით. მაგრამ განა პროპაგანდაა ის ფაქტი, რომ შევიტანეთ კონკრეტული წინადადებანი განიარაღების შესახებ და მზად ვართ მოვსპოთ შეიარაღება იმ პირობით, თუ მეორე მხარეც ამასვე იზამს?

ჩვენ მზად ვართ საქმიანად განვიხილოთ ეს საკითხი, რათა მივიღოთ კონკრეტული გადაწყვეტილებანი, რომლებიც ბოლოს მოუღებენ ჯამალებულ შეიარაღებას და შექმნიან ყველა საჭირო პირობას იმისათვის, რომ ადამიანებმა იცხოვრონ მშვიდად აწმყოში და მომავალში.

ჩვენ გულწრფელად ვესწრაფვით იმას, რომ ომები სახელმწიფოთა შორის სავსებით აღიკვეთოს.

ნიუ-იორკიდან წასვლისას, მინდა ერთხელ კიდევ შევეხო აგრეთვე მეტად მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ დასვა გენერალურ ასამბლეაზე. საკითხს, რომ მწვავედ საჭიროა შეიცვალოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანოების სტრუქტურა.

კონგოს ამბებმა გვიჩვენეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახლანდელი სტრუქტურის მთელი უსუსურობა. და არა მარტო უსუსურობა, არამედ, მე ვიტყოდი, ნამდვილად საშიში მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა იმის შედეგად, რომ აშკამად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აღმასრულებელ ორგანოებში, და უწინარეს ყოვლისა სამდივნოში, ბატონობენ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წარმომადგენლები.

საჭიროა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იყოს ნამდვილად საერთაშორისო ინსტრუმენტი ყოველი სახელმწიფოს და სახელმწიფოთა ყოველი ჯგუფის თანასწორი მდგომარეობის პირობებში, რადგან ახლა მსოფლიოში მკვეთრად გამოვლინდა სახელმწიფოთა სამი ჯგუფი — სოციალისტური, იმპერიალისტური და ნეიტრალისტური. არც ერთ ამ ჯგუფს არ უნდა ჰქონდეს უპირატესობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სხვა ორი ჯგუფის საზიანოდ.

საბჭოთა კავშირი არ დათანხმდება განიარაღებაზე, სანამ დარწმუნებული არა ვართ, რომ საერთაშორისო შეიარაღებული ძალები, რომელთა შექმნა გათვალისწინებული განიარაღების საკითხის გადაჭრისას, საიმედო ხელში იქნებიან და მათ არ გამოიყენებენ რომელიმე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის საზიანოდ.

ჩვენ არ მოვითხოვთ რაიმე უპირატესობას, მაგრამ არასოდეს არ შევურიგდებთ სახელმწიფოთა სხვა ჯგუფების უპირატესობებს.

ჩემი გამოსვლის დასასრულს მინდა გულწრფელი მადლობა ვუძღვნა ქალაქ ნიუ-იორკის მცხოვრებლებს კეთილი გაგებისა და კეთილი დამოკიდებულებისათვის ჩემდამი და ჩვენი დელეგაციის სხვა წევრებისადმი. ამ ხნის განმავლობაში მე მივიღე ბევრი წერილი და დეპეშა ამერიკელებისაგან. ამ წერილებსა და დეპეშებში, ისევე როგორც პირადი შეხვედრების დროს, ამერიკელები გამოთქვამდნენ კეთილ დამოკიდებულებას ჩვენი ხალხისადმი, ჩვენი ქვეყნისადმი და მე გულწრფელად ვუპასუხებდი მათ ასეთივე დამოკიდებულებით.

რასაკვირველია, იყვნენ ოვერძლიანი ადამიანებიც, ეგრეთწოდებული მოპიკეტენი, დაქირავებული პირები. მაგრამ მე კარგად მესმის, რომ საზოგადოების ეს ნაძირალები არ წარმოადგენენ ამერიკელ ხალხს.

მჯერა, რომ გაიგლის ცივი ურთიერთობა ჩვენს ორ ქვეყანას შორის, რაც წარმოშვა ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალთა უგუნური მოქმედების შედეგად, რომლებმაც ორი თვითმფრინავი გამოგზავნეს საბჭოთა კავშირის თვარლებში. დადგება დრო, როცა ჩვენი ქვეყნების ხალხები და მთავრობები იცხოვრობენ არა მარტო მშვიდობით, არამედ მეგობრობითაც.

ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობდით და კვლავაც ყოველ ღონეს ვიხმართ ამ მომართულებით და მოველით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შესაბამის საპასუხო ღონისძიებებს.

რაც შეეხება ამერიკელი ხალხის მეგობრულ გრძნობებს, მის ზრუნვას მშვიდობისათვის, ჩვენ ამაში არასოდეს არ შეგვიტანია ეჭვი და არ შეგვაქვს.

ჩვენ მხურვალედ გვწამს, რომ დამყარდება მშვიდობა დედამიწაზე, მსოფლიოს ყველა ხალხის მეგობრობა, და მუდამ ვიბრძვით ამისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვმა სადილი გამართა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალ წევრ სახელმწიფოთა დელეგაციების პატივსაცემად

ნიუ-იორკი, 13 ოქტომბერი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფი იუწყება:

12 ოქტომბერს საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა სადილი გამართა აფრიკის მთელ რიგ ახალ სახელმწიფოთა და კვიპროსის დელეგაციების პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ დელეგაციათა მეთაურები: ნიგერიისა — ჯაჯა ვაჩუკუ, კამერუნისა — შარლ ოკალა, დაგომეისა — ფრანსუა პლანგანი, ზემო ვოლტისა — ფრედერიკ გუირმანი, დელეგაციათა მეთაურების მოვალეობის ამსრულებლები: ტოგოსი — ირნისტო გასუ, სპილოს ძვლის ნაპირისა — ერნესტ ბოკა, მალგაშის რესპუბლიკისა — რემი ანდრიამახარო, სომალისა — აჰმად მოჰამედ ადენი. დელეგაციათა წარმომადგენლები: ჩადისა — ადუნ აგანი, მალისა — ჟანა რუსო, სენეგალისა — უსმან ამენ სილა, კვიპროსის დელეგაციის მეთაური ზენონ როსიდისი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ამხანაგები ნ. ვ. პოდგორნი, კ. ტ. მაზუროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საბჭოთა დელეგაციის წევრები და მრჩევლები.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ახალ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს მიუღოცა დამოუკიდებლობის მოპოვება, უსურვა მათ დიდი წარმატებანი და მოუწოდა დახმარება გაუწიონ იმ ხალხების განთავისუფლებას, რომლებიც ჯერ კიდევ არიან კოლონიალიზმის უღელქვეშ.

სადილის ბოლოს სიტყვა წარმოთქვა კამერუნის დელეგაციის მეთაურმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა შ. ოკალამ. მან თქვა:

— მას შემდეგ, რაც აფრიკის ახალი სახელმწიფოები მიიღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად, ეს პირველი საღამოა, როცა ჩვენ მშვიდად ვუსხედვართ მაგიდას და მშვიდობიანად ვსაუბრობთ, როგორც ძმები, მიუხედავად კანის ფერისა.

• უწინარეს ყოვლისა მინდა მადლობა მოვახსენო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს იმ ღონისძიებებისათვის, რომლებითაც საბჭოთა კავშირი გამოდის ომის წინააღმდეგ. თავის დროზე გერმანიამ, რომელიც თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, აუარაცხელი ტანჯვა მოუტანა მას. თქვენი ქვეყანა სისხლით იცლებოდა. მაგრამ თქვენი მსხვერპლი ამაო არ ყოფილა, ამ ომში დაღუპული თქვენი ადამიანები ამაოდ არ დაღუპულან. ისინი დაიღუპნენ უკეთესი მსოფლიოს გამარჯვებისათვის.

ჩვენ გვესმის, რომ როცა საბჭოთა კავშირი და მისი მეგობრები იბრძვიან ყველა ხალხის თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლად მათი კანის ფერისა, მათ უფლება აქვთ ეს გააკეთონ იმიტომ, რომ ძვირად ზღეს თავიანთი საკუთარი თავისუფლება. ისინი იბრძოდნენ იმისათვისაც, რომ ჩვენ თავისუფლად გვეცხოვრა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩვენ დიდხანს გვეხსომება როგორ ვისხედით აქ თქვენს გვერდით, გვეხსომება თქვენი უბრალოება და მეგობრობა. ეს ზღაპარს ჰგავს, მაგრამ ჩვენ იგი როდი მოვიგონეთ. ზოგი ჩვენ არ დაგვიჯერებენ. ზოგს ბავშვებად მივაჩნიეთ. მაგრამ ის, ვინც სიტყვის წარმოთქმის უნარი მოიპოვა, ბავშვი აღარ არის. მოზრდილებიც ყოველთვის როდი არიან მოზრდილები, ხოლო ბავშვები სამუდამოდ როდი რჩებიან ბავშვებად.

მადლობას გიხდით იმ ღონისძიებებისათვის, რომლებითაც იცავთ ჩვენს თავისუფლებას. ჩვენ აფრიკის ცენტრში ვიცით, რომ თუ არა სსრ კავშირი, ჩვენ ღმერთის რწმენასაც კი დავკარგავდით. თუ ჩვენ ერთ დროს მოგვცეს დამოუკიდებლობა, ეს სუფთა გულით როდი იყო გაკეთებული. ჩვენი წინანდელი მონობა სურდათ შეეცვალათ ახალი ეკონომიური დამოკიდებულებით.

მე კომუნისტი არა ვარ, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელობა იმას კი არა აქვს, ვინ აკეთებს სამუშაოს — კომუნისტები თუ არა. ჩემთვის მნიშვნელობა აქვს მუშაობის არსს, ხოლო თქვენი ღონისძიებების არსი ძლიერ ძვირფასი რამ არის.

ჩვენთან აფრიკის ქვეყნებში დიდი სიმდიდრეა, მაგრამ ჩვენ მუდამ ღარიბნი ვართ. ამიტომ, თუმცა კომუნისტები არა ვართ, მადლობას ვუძღვნით კომუნისტებს მათი ღონისძიებებისათვის.

მინდა მოვიყვანო ჩვენი ანდაზა: „მადლობა მოდის არა გულიდან, არამედ კუჭიდან“. თუ იმ მომენტში, როცა რომელიმე ქვეყანას დამოუკიდებლობას აძლევენ და ამავე დროს აპირებენ მის გაძარცვას, ამან არ შეიძლება მადლობა გამოიწვიოს. თქვენთან კი ჩვენ გვაქვს ურთიერთობა თანასწორობა თანასწორთან, ანგარებითი ვარაუდებისა და ფარული აზრების უქონლად. თქვენ დაამტკიცეთ, რომ ძლიერს შეუძლია გულწრფელად დაეხმაროს სუსტს.

დაე მომიტევონ ჩემმა სხვა აფრიკელმა მეგობრებმა, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ ახლა, როცა თქვენ მიდიხართ სსრ კავშირში, ყველა აფრიკელი ხალხი შეშფოთებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეის სესიაზე განიარაღების საკითხის წინასწარი განხილვის უარყოფითი შედეგით. ხომ არ უნდა მოველოდეთ, რომ კვლავ დადგება შავბნელი დრო და საჭირო იქნება ვემზადოთ მობილიზაციისათვის, როგორც ერთ დროს მე ვემზადებოდი და შემდეგ მობილიზებული ვიყავი? საკითხავი აი რა არის? საბჭოთა კავშირმა და დასავლეთმა მარტო თავის თავზე კი არ უნდა იფიქრონ, არამედ სხვებზეც. თქვენ უნდა იფიქროთ აფრიკაზე: მას ესაჭიროება დახმარება მშენებლობაში. თუ თქვენსა და ამერიკას შორის ომი დაიწყო, ეს აუარაცხელ უბედურებას მოუტანს მთელ კაცობრიობას.

ოდესაც ვემზადებოდი მდგდლად გავმხდარიყავი. მე წამიკითხავს, რომ იყო ქალაქები სოდომი და გომორა. ღმერთმა გადაწყვიტა გაეცამტვერებინა ეს ქალაქები იმისათვის, რომ მათი მცხოვრებნი ცოდვებში ჩაიძირნენ. ანგელოზმა აუწყა აბრაამს ეს. აბრაამმა ჰკითხა: „ო, მეუფეო, რატომ უნდა დაწვა ორი ქალაქი, თუ მათში ათი უდანაშაულო ადამიანი მოიპოვება?“ ღმერთმა ამაზე უპასუხა, რომ იქ სულ ხუთი უდანაშაულოც რომ იყოს, მაშინაც არ უნდა დაიღუპოს ეს ქალაქები. ჩვენ კი ასე უნდა ვთქვათ: თუ არის თუნდაც ერთი უდანაშაულო სახელმწიფო, მაშინაც არ უნდა დაიწყოს საყოველთაო მოსპობა.

ჩვენ ბევრი მწუხარება მოგვიტანეს, და თეთრკანიან ადამიანებზე იმის მიხედვით რომ გვმსჯელა, ვინც გვჩაგრავდა, ჩვენ დავკარგავდით რწმენას თეთრკანიანებისადმი. ჩვენში ამბობენ, კაცს, რომელსაც ერთხელ უკბინა გველმა, გზაზე თოკიც გველად მოეჩვენებაო. მაგრამ ჩვენში დარჩა სიმპათია იმათ მიმართ, ვინც აფრიკას იცავს. თქვენ აფრიკის მომხრე ხართ. მაშასადამე თქვენს მხარეზე იქნება წარმატება — მილიონობით ადამიანი იქნება თქვენს მხარეზე. ხოლო ის, ვინც ძალაზე ამყარებს იმედს, ბოლოს და ბოლოს წააგებს.

ნუ დაივიწყებთ, რომ ორ ბლოკს შორის აფრიკა დგას.

ბატონო თავმჯდომარეო, მიბრძანდებით რა სამშობლოში, ნუ იფიქრებთ, რომ იმედის გაცრუება ამ დღეების შედეგების გამო მარტო რუსი ხალხის იმედის გაცრუება იყოს. ეს იყო იმედის გაცრუება ყველა ჩვენგანისათვის. მე ახლა 51 წლისა ვარ, თავის დროზე ვიბრძოდი [illegible] მობილიზებული [illegible] ... ამ გზა [illegible] ... ეს [illegible] ... ეს [illegible] ... ეს

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1960 წლის 13 ოქტომბრის პლენარულ სხდომაზე

„საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედებით საყოველთაო მშვიდობისათვის შექმნილი საფრთხის“ საკითხის განხილვის წესის შესახებ

ბატონო თავმჯდომარე!

ბატონო დელეგატებო!

ვიდრე დავიწყებ ჩემს გამოსვლას ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების საკითხზე, რისთვისაც სიტყვა მომცა ბატონმა თავმჯდომარემ, მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა პასუხის წესით. არც მე ვარ მოკლებული ასეთ უფლებას და მინდა ვისარგებლო ამ უფლებით. მინდა მოკლედ ვთქვა და დავადასტურო, რომ ბატონი, რომელიც ფილიპინების წარმომადგენელია, მაინც არ არის უიმედო კაცი, და მას აქვს ჯანსაღი მარცვალი, რომელიც შეიძლება განმტკიცდეს მის შეგნებაში. იგი მომავალში სწორად გაიგებს საგნებს და ექნება სწორი მსჯელობა მათ შესახებ. მაგრამ ამისათვის, როგორც ჩანს, საჭიროა დრო. ჩვენ გვაქვს ასეთი ანდაზა: „ყოველ ბოსტნეულს თავისი დრო აქვს“. ეს ბატონიც, როგორც ჩანს, დამწიფების პროცესშია. ვფიქრობ, რომ იგი დამწიფდება და სწორად გაიგებს საკითხებს. **(გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება შეიტანოს თავისი XV სესიის დღის წესრიგში საკითხი საყოველთაო მშვიდობისადმი საფრთხის შესახებ, რასაც ქმნის ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს ასამბლეის დღის წესრიგის რიგითი პუნქტი როდია, არამედ განსაკუთრებული საკითხია, რაც გამოწვეულია მოქმედებით, რომელიც შეუთავსებელია სახელმწიფოთა შორის ნორმალურ ურთიერთობასთან, როცა ისინი არ იმყოფებიან ომის მდგომარეობაში.

ცნობილია, რომ ამერიკის ხელისუფლებს არაერთხელ შემოუგზავნიათ თავიანთი ჯაშუშური თვითმფრინავები საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში. 1960 წლის 1 მაისს, ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების პარიზის თათბირის წინ, ამერიკის ჯაშუშური თვითმფრინავი „უ-2“ შემოიჭრა ჩვენი ქვეყნის სიღრმეში და ჩამოგდებულ იქნა.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა არა თუ ბოდიში არ მოიხადა ჩვენი ქვეყნის წინაშე აგრესიის ამ უხეში აქტის გამო, არამედ ასეთი ფრენა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო პოლიტიკადაც გამოაცხადა.

უფრო მეტიც, ორი თვის შემდეგ ამერიკის მეორე სამხედრო თვითმფრინავი „რბ-47“ შემოიჭრა ჩვენი ქვეყნის ფარგლებში, და თავხედი აგრესორი კვლავ ჩამოგდებულ იქნა.

ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი მოქმედება დამღუპველ გავლენას ახდენს მთელ საერთაშორისო ვითარებაზე და აუარაცხელი უბედურების საფრთხეს შეიცავს.

როგორც უკვე განვაცხადე ამ ტრიბუნიდან 23 სექტემბერს, საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების საკითხი განხილულ უნდა იქნას უშუალოდ გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე.

გთხოვთ მხედველობაში იქონიოთ, რომ ეს საბჭოთა კავშირის საჩივარი როდია. არა, ჩვენ არ ვჩივით. საბჭოთა კავშირი საკმაოდ ძლიერია, რომ ცალმხრივი წესით დაიცვას თავისი ქვეყნის ინტერესები. მაგრამ ჩვენ ამ საკითხს ვაყენებთ გენერალური ასამბლეის განსახილველად იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავიანთ უფლებად გამოაცხადეს იმოქმედონ საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგოდ. შეერთებული შტატების მთავრობა ამბობს, რომ ასეთი ჯაშუშური ფრენა, ასეთი აგრესიული შეჭრა საჭიროა სახელმწიფოს უშიშროებისათვის. შეერთებული შტატები ამას, ვითომდა, იმიტომ აკეთებენ, რომ უფლება აქვთ უზრუნველყონ თავიანთი უშიშროება, უფლება აქვთ დაარღვიონ სხვა ქვეყნების საზღვრები ისე, რომ ანგარიში არ გაუწიონ საერთაშორისო ნორმებს. ამრიგად, შეერთებულ შტატებს სურთ თავს მოგვახვიონ თვითნებობა საერთაშორისო ურთიერთობაში. სწორედ ამიტომ ამ საკითხს მიეცა განსაკუთრებული ხასიათი. ვიმეორებ, ეს არ არის ორი სახელმწიფოს დავა, არამედ ეს არის საკითხი სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისა და სუვერენობის უფლებების შესახებ, საკითხი იმის შესახებ, რომ ყოველი სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს სხვათა დამოუკიდებლობასა და სუვერენობას.

ამერიკის თვითმფრინავების აგრესიულმა ფრენამ დაარღვია არა მარტო ჩვენი სახელმწიფოს, არამედ აგრეთვე მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების სუვერენიტეტი: მათ დაარღვიეს ავღანეთის ნეიტრალიტეტი, დაარღვიეს ნეიტრალური ავსტრიის სუვერენიტეტი, დაარღვიეს ნორვეგიის, პაკისტანის, თურქეთის სუვერენიტეტი — ამ სახელმწიფოებმა, როცა შეიტყეს ამერიკის ჯაშუშური თვითმფრინავის ფრენის შესახებ, ხომ ოფიციალურად განუცხადეს პროტესტი შეერთებულ შტატებს. თავის დროზე პროტესტი განაცხადა ავსტრიამაც, როცა დაარღვიეს მისი ნეიტრალიტეტი. თავიანთ პროტესტებში ამ ქვეყნების მთავრობებმა განაცხადეს, რომ შეერთებულ შტატებს არ ჰქონიათ კონსულტაცია მათთან, არ უთხოვიათ ნებართვა მათ ტერიტორიაზე ჯაშუშური ფრენის მოსაწყობად.

თუ მთლიანად და საბოლოოდ არ აღიკვეთა აგრესორთა ამგვარი მოქმედება, თუ იგი დაგმობილ არ იქნა, შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ასამბლეა იწონებს ამერიკის შეერთებული შტატების ამგვარ მოქმედებას და ამით ერთგვარად აქეზებს მათ შემდგომი აგრესიული მოქმედებისათვის. ამრიგად, იგი დიდ ზიანს მიაყენებს საერთაშორისო სამართალს, იმიტომ რომ ერთგვარად კანონად გადაიქცევა ყოველი სახელმწიფოს უფლება ისარგებლოს ამგვარი მეთოდებით. ამას კი, თავის მხრივ, შეიძლება მოჰყვეს ის, რომ ყოველი სახელმწიფო იძულებული იქნება სუვერენიტეტის დაცვაში დაეყრდნოს მხოლოდ თავის თავს, თავის საკუთარ ძალებს. მაგრამ ყოველ საღად მოაზროვნე ადამიანს ესმის—ამას შეიძლება მოჰყვეს ის, რომ ძალას დაუპირისპირდება ძალა, ეს კი, საბოლოო ანგარიშით, ომია. ყოველ ქვეყანას თავისებურად შეუძლია შეაფასოს თვითმფრინავების შეჭრა, შეუძლია შეაფასოს იგი, როგორც სამხედრო თავდასხმა და. მაშასადამე, საპასუხო დარტყმით უპასუხოს ამ შეჭრას.

გაგზავნილია სხვა ქვეყნების ფარგლებში ჯარები, თუ გაგზავნილია თვითმფრინავები აგრესიული მიზნით, სწორედ ეს არის ერთი ქვეყნის სამხედრო შეჭრა მეორე ქვეყნის ფარგლებში. სწორედ ასე უნდა შევაფასოთ საბჭოთა კავშირის ფარგლებში ამერიკის თვითმფრინავების აგრესიული შეჭრის ფაქტები.

თუ ერთი მხარე კისრულობს პასუხისმგებლობას ომის დაწყებისათვის, მეორე მხარეს აქვს თავდაცვის უფლება. იგი იძულებულია მაშინ დაიცვას თავისი სუვერენიტეტი და მოიგერიოს მოწინააღმდეგის შემოჭრა, საპასუხო დარტყმა მიაყენოს აგრესორსა და იმ ბაზებს, რომლებიდანაც აგრესორი შეჭრას ახორციელებს.

აი ამ საკითხის რა მხარეებზე მინდოდა მიმექცია თქვენი ყურადღება, პატივცემულო ბატონო დელეგატებო!

ამერიკის თვითმფრინავების აგრესიული ფრენის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით მინდა გამოვთქვა საბჭოთა მთავრობის შემდეგი სურვილი:

ყოველი კონფლიქტი ქვეყნებს შორის და სისხლისმღვრელი ომებიც კი ბოლოს და ბოლოს საზავო ხელშეკრულების დადებით მთავრდება. საბედნიეროდ, ჩვენ ამერიკის შეერთებულ შტატებთან არასოდეს არ გვიომია. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ აგრესია, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ ჩაიდინეს შეერთებულმა შტატებმა მაშინვე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. მაშინ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავიანთი ჯარები გამოგზავნეს ჩვენს ტერიტორიაზე მემამულეთა და კაპიტალისტთა დამხობილი ძირმომპალი რეჟიმის დასახმარებლად. მაგრამ ეს ჯარები ჩვენი მიწა-წყლიდან გააძევა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა წითელმა არმიამ. მას შემდეგ ჩვენს შორის არა თუ არ ყოფილა სამხედრო შეტაკება, არამედ ჩვენ ერთადაც კი ვომობდით ყველაზე სისხლისმღვრელ ომში ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ და გავიმარჯვეთ ამ ერთობლივ ბრძოლაში.

ჩვენ ახლაც ყველაფერს ვაკეთებთ და კვლავაც ყველაფერს გავაკეთებთ, რომ უზრუნველვყოთ არა მარტო მშვიდობა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებს შორის, არამედ მეგობრობაც ჩვენს ხალხებსა და ჩვენს მთავრობებს შორის. ჩვენ ეს სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია, თუ მეორე მხარეც ესწრაფვის ამას. საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ცხოვრობენ ერთმანეთისაგან ძლიერ დაშორებით, როგორც ერთი, ისე მეორე ქვეყანა მდიდარია, აქვთ განვითარებული ეკონომიკა. ორივე ჩვენს ქვეყანას აქვს ყველაფერი, რომ მომავალშიც განვითარდნენ თვითეული თავისი მიმართულებით, იმ მიმართულებით, რომელიც აირჩიეს საბჭოთა კავშირის ხალხებმა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხმა.

ჩვენ გვესმის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჩადენილი აგრესიული მოქმედების საკითხის განხილვას გენერალურ ასამბლეაზე გარკვეული წრეები იყენებენ იმისათვის, რომ გაამწვავონ „ცივი ომის“ ატმოსფერო. ამიტომ საბჭოთა მთავრობას თავის მხრივ სურს ყველაფერი გააკეთოს, რათა არ შეიქმნას შემდგომი დაძაბულობა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში.

თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა განაცხადებს გენერალურ ასამბლეაზე, რომ იგი ნანობს აგრესიულ აქტებს, რომლებიც ჩაიდინა საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, და იძლევა დაპირებას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მომავალში მტკიცედ დაიცავს საერთაშორისო სამართლის დებულებებს, პატივს სცემს საბჭოთა კავშირისა და ყველა სხვა ქვეყნის სუვერენიტეტს, ჩვენ ასეთ დაპირებას მივიჩნევდით იმად, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აღიარებენ, რომ მართალი არ არიან ამ საკითხში, და კმაყოფილი ვიქნებოდით. ამით შეიძლებოდა დაგვემთავრებინა და აღარ მოვითხოვდით საკითხის განხილვას. ამრიგად გაიწმინდებოდა ატმოსფერო, შენელდებოდა საერთაშორისო დაძაბულობა, შესაძლებელი იქნებოდა უფრო სწრაფად გადაჭრილიყო ის საკითხები, რომლებიც დღის წესრიგშია, და განსაკუთრებით განიარაღების საკითხი.

ხოლო თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა არ მოისურვებს გამოიჩინოს კეთილი ნება, არ დაგმობს საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნებში თავისი ჯაშუშური თვითმფრინავების შეგზავნის პრაქტიკას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მთელი სიმკაცრით უნდა დაგმოს ასეთი აგრესიული მოქმედება, რადგან საქმე ეხება ერთი უდიდესი სახელმწიფოს სრულიად უპრეცედენტო მოქმედებას სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, რასაც შეიძლება მოჰყვეს უაღრესად სერიოზული შედეგები საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის.

უნდა დავგმოთ და აღვკვეთოთ ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი პოლიტიკა, რათა ამგვარმა პროვოკაციულმა ინციდენტებმა მსოფლიო არ მიიყვანონ ომის ზღვარამდე. ამერიკის აგრესიული ფრენა ფაქტიურად ნაბიჯია ამ ზღვარისაკენ.

ამიტომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ უაღრესად მწვავე და ღრმად პრინციპული საკითხები, რომელთა გადაჭრაზე დამოკიდებულია მსოფლიოს ბედი, გადატანილ იქნას მეორე პლანზე, ხოლო გენერალური ასამბლეის ტრიბუნა დაეთმოს „ცივი ომის“ ორგანიზატორთა ნათითხნის ღეჭვას. ეს ხომ ნამდვილი სირცხვილი იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის. ხალხები, რომლებსაც სურთ მშვიდობის განმტკიცება და საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღება, მაშინ გამოთქვამენ მკაცრ განაჩენს იმის გამო, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კეთდება, და ისინი მართალი იქნებიან.

საბჭოთა მთავრობას არა სურს, რომ ეს მოხდეს. მას სურს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გაამართლოს. ხალხების იმედი და გამოვიდეს როგორც მშვიდობის განმტკიცების სერიოზული იარაღი და სახელმწიფოთა სუვერენული უფლებების ერთგული გუშაგი. **(საბჭოთა დელეგაციის მეთაურს სიტყვა არაერთგზის შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით).**

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეაში 1960 წლის 13 ოქტომბერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარე!

პატივცემულო დელეგატებო!

მინდა განვაცხადო, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაცია დიდ კმაყოფილებას განიცდის იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი დათანხმდა, რათა ეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საკითხი, კოლონიურ ხალხთა განთავისუფლების საკითხი, განხილულ იქნას გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საქმე საჰაერცედურო საკითხი კი არა, არამედ ის არის, რომ არსებითად მხარი დავუჭიროთ დეკლარაციას კოლონიური სისტემის მოსპობის შესახებ. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ისეთი მდგომარეობა, რომ ხალხებმა, რომლებიც ჯერ კიდევ იტანჯებიან კოლონიურ უღელქვეშ, მოიპოვონ თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ამ თავისუფლებას ისინი ხონჩით კი არ იღებენ, არამედ მოიპოვებენ მძიმე სისხლისმღვრელი ბრძოლით. მილიონობით ადამიანი დაიღუპა ამ ბრძოლაში. ამიტომ მათ უნდა მივცეთ გაშლილი დეკლარაცია, ამ დეკლარაციაში ვთქვათ, თუ რა მოუტანა ამ ხალხებს კოლონიურმა მონობამ, დავსახოთ კოლონიური უღლისაგან ხალხთა განთავისუფლების გზები. განვაცხადოთ, რომ ყველა ადამიანი — შავკანიანი, თეთრკანიანი, ყვითელკანიანი ადამიანები — განურჩევლად კანის ფერისა, განურჩევლად სარწმუნოებისა — თანასწორუფლებიანი უნდა იყვნენ.

მინდა ერთხელ კიდევ ვთქვა, რომ უიმედო ადამიანები არ არსებობენ. თვით ისეთი კოლონიზატორებიც კი, როგორიც ესპანელები და ინგლისელები არიან — ესენი კი ყველაზე პირველი კოლონიზატორები იყვნენ, — ისინიც კი არ არიან უიმედონი. და თუ მათ ტვინს გაანძრევენებენ, ისინი სწორად გაიგებენ იმ საკითხს, რომელიც განიხილება გენერალური ასამბლეის სესიაზე. მათ განცხადებაც კი გააკეთეს, რომ ხმას მისცემენ ამ საკითხის სასარგებლოდ.

ხედავთ, რა კარგი კომპანია გვყავს. ჩვენმა სოციალისტურმა სახელმწიფომ, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანეულობს, ასამბლეის პლენუმის განსახილველად შემოიტანა წინადადება კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის შესახებ. და ძლიერ მოხარული ვართ, რომ ჩვენს წინადადებას მხარს უჭერენ შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთიც კი — ეს კლასიკური კოლონიზატორული ქვეყანა — ხმას მისცემს ჩვენთან ერთად. მე ხელს ვართმევ მათ. თუ ჩვენ მომავალშიც ასევე ვიმოქმედებთ, ეს მხოლოდ სიკეთეს მოუტანს ყველა ხალხს.

ბატონებო, ასამბლეა განიარაღების საკითხში რომ ასევე ერთსულოვნად გამოსულიყო, როგორც ამ საკითხში გამოვიდა, თქვენ უნდა წარმომგდგენინათ, თუ რა ნაბიჯს ვადგამ ... [illegible] ... ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ შეთანხმების მიღწევის გზაზე! ამიტომ გთხოვთ გამოიტანოთ დასკვნა — მსოფლიოს ხალხებმა თავიანთ ხელში უნდა აიღონ საკუთარი ბედ-იღბალი, არ იქონინონ იმის იმედი, რომ ამ საკითხს, კაცობრიობის მომავლის საკითხს, მშვიდობისა და ომის საკითხს, გადაჭრიან მხოლოდ საბჭოთა კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. არა. ეს საკითხი ყველა ადამიანს ეხება. ჩვენ მხოლოდ იმით გამოვიყოფით, რომ გვაქვს ყველაზე უფრო სრულყოფილი და ყველაზე უფრო გამანადგურებელი იარაღი. მაგრამ ეს მთავარი როდია. მთავარი ის არის, რომ, თუ ომი დაიწყო, მსოფლიოს ყველა ხალხი დაზარალდება ომის გამო. ამიტომ საჭიროა, რომ მსოფლიოს ყველა ხალხი განიარაღების საკითხს, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საკითხს მიუდგეს პასუხისმგებლობის ისეთი გრძნობით, როგორი გრძნობითაც ისინი უდგებიან, — ისიც კი არ მიუდგენენ, არამედ უდგებიან, — კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის საკითხის გადაჭრას.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

(ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა დიდი ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ).

მშვიდობის უზრუნველყოფა მთავარი ამოცანაა

საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის მოწოდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე

საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის მოწოდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის, მონაწილეთა მიმართ 11 ოქტომბერს მიიჩნიონ განიარაღების პრობლემა ყველაზე კარდინალურ პრობლემად, რომლის გადაჭრაზეც დამოკიდებულია მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა და მეგობრობა ხალხებს შორის, დღეს მსოფლიო საზოგადოებრიობის, პრესის, რადიოს ყურადღების ცენტრშია.

პრაღის ყველა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილს დიდრონი სათაურებით მოათავსა ეს გამოსვლა. გაზეთები განსაკუთრებით გამოჰყოფენ საბჭოთა კავშირის წინადადებას იმის შესახებ, რომ მოიწვიონ გენერალური ასამბლეის სადგებო სესია განიარაღების საკითხზე. „ტრუდ პრავო“ იუწყება სსრ კავშირის ახალ სამშვიდობო ინიციატივას და წერს, რომ „ჩეხოსლოვაკიის ხალხი სავსებით უპერს მხარს ამ ინიციატივას“. „ხალხები, — ხაზს უსვამს გაზეთი „ზემედელსკე ნოვინი“, — გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან მოელიან, რომ იგი გამრნახავს განიარაღების გზას. გაზეთები „პრაცე“ და „სკობოდნე სლოვო“ ხაზს უსვამენ, რომ მხოლოდ განიარაღება იხსნის კაცობრიობას ახალი ომის საფრთხისაგან. გაზეთი „ობრანე ლიდუ“ ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, თუ რა პასუხისმგებლობა აკისრია გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რამდენადაც მშვიდობას უზრუნველყოფა მისი მთავარი ამოცანაა.

თვალსაჩინო ადგილს დიდრონი სათაურებით გამოაქვეყნეს პოლონეთის გაზეთებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურის გამოსვლა. ამასთან პრესა ხაზს უსვამს, რომ თანამედროვე პირობებში საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემა ყველაზე კარდინალური და მის გადაჭრაზე დამოკიდებულია მტკიცე მშვიდობის შენარჩუნება.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას აქვეყნებს ბერლინის დემოკრატიული პრესა. გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ ეს დოკუმენტი დაბეჭდა სათაურით „სსრ კავშირი მტკიცედ მოითხოვს მიიღონ მისი წინადადება, რომ განიარაღების საკითხი განხილ-ველს გენერალური ასამბლეის სესიამ მთავრობათა მეთაურების მონაწილეობით“. აღნიშნავს რა, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურმა მოითხოვა მოიწვიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია განიარაღების საკითხის განსახილველად, გაზეთი აცხადებს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის ოფიციალური წინადადებაა გაიხილონ განიარაღების საკითხი, როგორც თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემა.

როგორც „ბერლინერ ცაიტუნგი“ ხაზგასმით აღნიშნავს, ნ. ს. ხრუშჩოვმა 11 ოქტომბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე განაცხადა, რომ ხალხები მოელიან განიარაღების საკითხის გადაჭრას. მან მტკიცედ ქოქურა დელეგატები ძიალოიი მეთანხმებას განიარაღების შესახებ. გაზეთი „ნაციონალ-ცაიტუნგი“ ხაზს უსვამს საბჭოთა დელეგაციის მეთაურის განცხადებას, რომ სასურველია ევროპაში მოეწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია განიარაღების საკითხის განსახილველად. გაზეთი „ნოიე ცაიტი“ ხაზს უსვამს, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევა გადაუდებელი საარსებო ამოცანაა.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის სათაურებში უნგრეთის გაზეთები აღნიშნავენ, რომ განიარაღების საკითხი მთავარი საკითხია და უნდა განიხილონ სესიის პლენარულ სხდომებზე. „ნეფსაბადშაგი“ სათაურში გამოაქვს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები, რომ თუ ახლანდელ სესიას არ ძალუძს განიხილოს განიარაღების საკითხი, გაზაფხულზე საჭირო იქნება საგანგებო სესიის მოწვევა მთავრობათა მეთაურების **მონაწილეობით, გაზეთი მსგავლი შრიფ-**ტით გამოჰყოფს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს, რომ განიარაღების საკითხის გადაჭრაზე დამოკიდებულია მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა.

მთელი დასავლეთგერმანული პრესა თვალსაჩინო ადგილს უთმობს საბჭოთა მთავრობის მეთაურის ახალ გამოსვლას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე. ბევრ გაზეთს სათაურში გამოაქვს საბჭოთა კავშირის წინადადება, რომ მომავალი წლის გაზაფხულზე მოიწვიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხის განსახილველად.

გაზეთი „დი ველტი“ ხაზს უსვამს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ სესიაში მონაწილეობა უნდა მიიღონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა მეთაურებმა და მათი მთავრობების მეთაურებმა. გაზეთი აღნიშნავს აგრეთვე საბჭოთა მთავრობის მეთაურის გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ დღითი დღე სულ უფრო მეტ და მეტ იარაღს აწარმოებენ და რომ განიარაღების პრობლემის გადაჭრაზე დიდად დამოუკიდებელია იქნება თუ არა მსოფლიო ომი. გაზეთ „გენერალ-ანციგერს“ მოჰყავს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები, რომ განიარაღება თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. გაზეთი ხაზს უსვამს აგრეთვე ნ. ს. ხრუშჩოვის ნათქვამს იმის შესახებ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიძლება ერთი ლიგის სახელგატეხილ გზას დაადგეს, თუ იგი მთელი სერიოზულობით არ მოეკიდა განიარაღების პრობლემასო. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრესა აღნიშნავს, რომ შეერთებული შტატები წავიდნენ საბჭოთა დელეგაციის იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო სესია მოწვეული იყოს განიარაღების საკითხის განსახილველად.

პარიზის გაზეთები დიდრონი სათაურებით დაწვრილებით ბეჭდავენ საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის შინაარსს. გაზეთი „ლუმანიტე“ ხაზს უსვამს, რომ სსრ კავშირის წინადადებაა განიარაღების პრობლემა განიხილონ ისეთ პირობებში, როცა შეუძლებელი იქნება მისი „მიჩქმალვა“, და რომ განხილვაში მონაწილეობა მიიღოს რაც შეიძლება მეტმა სახელმწიფომ, და კერძოდ, ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენლებმა. „ლუმანიტე“ გმობს, რომ დასავლეთის ქვეყნები სისტემატიურად ამბობენ უარს განიარაღების პრობლემაზე გადაწყვეტაზე და ხაზს უსვამს: „ისინი, ვინც უარს ამბობს გადაუდებლად განიხილონ ეს პრობლემა რაც შეიძლება მეტი სახელმწიფოს მონაწილეობით, უდიდეს პასუხისმგებლობას კისრულობენ“.

ნ. ს. ხრუშჩოვმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დააკისრა ეს ბრალმდებლობა ყველაზე გადაუდებელი საერთაშორისო პრობლემის—განიარაღების პრობლემის გადაჭრისათვის, წერს იტალიის გაზეთი „უნიტა“, კომენტარს უკეთებს რა. საბჭოთა მთავრობის მეთაურის გამოსვლას, გაზეთი ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირს არა მარტო „არ ეშინია დისკუსიისა უმაღლეს დონეზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში“, არამედ უფრო მეტიც, ხელს უწყობს ასეთ დისკუსიას, „პირველს შემოაქვს რა წინადადება, რომ მოიწვიონ გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია, რომელსაც მიეცემა უმაღლესი დონის საყოველთაო თათბირის ხასიათი, თათბირისა მსოფლიოს ყველა ქვეყნის სახელმწიფოთა და მთავრობათა ხელმძღვანელების მონაწილეობით“.

„ხრუშჩოვის სიტყვა, — წერს „უნიტა“, — გვიჩვენებს ნაადვილ გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან“ და აგაფრთხილებს იმ საშიშროების წინააღმდეგ, რომ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციი ... [illegible] ... ეროვნული დონის თათბირი, როცა მისი გახსნის წინ ჯაშუშური თვითმფრინავი „უ-2“ გაგზავნეს საბჭოთა კავშირის ფარგლებში.

ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გადაჭრით უარყო ამერიკის დელეგაციის მანევრები, რომელთა მიზანია ის, რომ საკითხი სსრ კავშირის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების შესახებ არ იქნეს განხილული საერთაშორისო ასამბლეაზე. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თქვა მან, რომ ეს საკითხი ეხება ორი ქვეყნის ურთიერთობას. არსებულ მდგომარეობაში ამერიკის სამხედრო ავიაციის აგრესიული მოქმედება სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს მთელი მსოფლიოსათვის. მან მოითხოვა დაგმობილ იქნეს ამერიკის შეერთებული შტატების ანტიერისტული პოლიტიკა, რომელიც ლახავს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის საარსებო ინტერესებს.

ამით დამთავრდა გენერალური ასამბლეის დილის პლენარული სხდომა.

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის გუშინდელი დღის სხდომა გაიხსნა 15 საათსა და 25 წუთზე ადგილობრივი დროით (22 საათსა და 25 წუთზე მოსკოვის დროით).

სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა საკითხისა, თუ რა ფორმა უნდა განხილოს გენერალურმა ასამბლეამ პუნქტი საყოველთაო მშვიდობისადმი საფრთხის შესახებ, რასაც ქმნის ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. პირველი გამოვიდა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. რაპაცკი.** რაპაცკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს საკითხი, როგორც უაღრესად დიდმნიშვნელოვანი და სასწრაფო, განხილულ უნდა იქნას გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე.

პოლონეთის წარმომადგენლის სიტყვის შემდეგ სიტყვა მიეცა **ნ. ს. ხრუშჩოვს.**

(ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა მთლიანად ქვეყნდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში. **რედ.**).

შემდეგ თავმჯდომარემ კენჭი უყარა გენერალური კომიტეტის რეკომენდაციის საბჭოთა შესწორებას, საბჭოთა წინადადებას საყოველთაო მშვიდობისადმი საფრთხის საკითხის განხილვის შესახებ, რასაც ქმნის ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ხმა მისცა ათმა დელეგაციამ (ალბანეთი, ბელორუსია, ბულგარეთი, კუბა, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, უკრაინა, სსრ კავშირი). ამ შესწორების წინააღმდეგ ხმა მისცა 54 დელეგაციამ (ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, ესპანეთი, პორტუგალია და სხვები). 33 დელეგაციამ კენჭის ყრის დროს თავი შეიკავა (ავსტრია, ბირმა, ეთიოპია, ფინეთი, ინდონეზია, მალი, ნიგერია და სხვები).

ასამბლეამ კენჭისუყრელად მიიღო გენერალური კომიტეტის რეკომენდაცია, რომელიც მოითხოვს ამ საკითხის განხილვას პირველ კომიტეტში.

შემდეგ განახლდა საერთო პოლიტიკური დისკუსია.

ლაოსის წარმომადგენელმა **სუვანნაფუმამ** განაცხადა, რომ მისი ქვეყანა იცავს ნეიტრალიტეტის პოლიტიკას. მან მოუწოდა ასამბლეას გაფინტოს ეშვი სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

კამერუნის საგარეო საქმეთა მინისტრმა **შ. ოკალამ** თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა შინაპოლიტიკურ მდგომარეობას თავის ქვეყანაში. შეეხო რა საერთაშორისო პრობლემებს, ოკალამ განაცხადა, რომ ასამბლეის დელეგატები დიდ ყურადღებას აქცევენ ალჟირის ომს და „ხელს იქეთ ვერ ხედავენ ტყეს“, მისი სიტყვით, უნდა ვილაპარაკოთ არა ალჟირზე, არამედ „მთლიანად ტანჯულ კაცობრიობაზე“.

შ. ოკალამ მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს ეკონომიური დახმარება გაუწიონ აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოებს.

სხდომის ბოლოს პასუხის

ბოლო მოვუღოთ კოლონიალიზმს!

აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის პირველი საბჭოთა კონფერენცია

12 ოქტომბერს სტალინაბადში მუშაობას განაგრძობდა აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის საბჭოთა კონფერენცია. სიტყვებით გამოვიდნენ იემენელი მუჰამედ აბდულვალი, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თ. ს. ხეთაგუროვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი ე. დ. მოდორჟინსკაია, იეკეგსკის სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტი ტ. ხ. ბაკაროვა.

ამ დღეს კონფერენციაზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა კ. ს. ბაგინიანმა (რუსეთის სფსრ), მ. ი. სიროტკინმა (ჩუვაშეთის ასსრ), ლ. დ. იაბლოჩკოვმა (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აფრიკის ინსტიტუტი), აბდულაჰმან სულთანოვმა (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტი), მწერალმა ა. ვ. სოფრონოვმა.

შემოდის წინადადება კონფერენციის სახელით მისალმებით მიმართონ დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო კონგრესს, რომელიც ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში მიმდინარეობს. კონფერენციის მიერ მიღებულ მისალმებაში ნათქვამია:

„თქვენი კონგრესი და ჩვენი კონფერენცია დროის მხრივ დაემთხვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის მუშაობას, რომელზეც ნ. ს. ხრუშჩოვისა და ბევრი სხვა ქვეყნის წარმომადგენელთა გამოსვლებში კვლავ საქვეყნოდ დადასტურებულ იქნა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის დემოკრატიული პრინციპები.

ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენს ბრძოლას კეთილი ნების ყველა ადამიანთან ერთად თავისუფლებისათვის, სამართლიანობისათვის, ხალხთა წმიდა უფლებისათვის თავისუფლად განაგონ საკუთარ ბედი.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები ყველგან გაიმარჯვებენ, რომ ხალხები მიაღწევენ საყოველთაო და სრულ განიარაღებას, რომ მშვიდობის საქმე გაიმარჯვებს“.

დიდი ერთსულოვნებით მიიღო კონფერენციამ რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის მოძრაობა, რომელმაც სასახელო გზა განვლო დელიდან კონაკრიმდე, გახდა დიადი ძალა, სამარცხვინო კოლონიური რეჟიმის სრული და დაუყოვნებლივი ლიკვიდაციისათვის ბრძოლის აქტიური ფაქტორი.

თავის რეზოლუციაში კონფერენციამ გამოაცხადა, რომ სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა გააძლიეროს ბრძოლა კოლონიური რეჟიმის დაუყოვნებლივ და საბოლოო ლიკვიდაციისათვის.

დელეგატებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი დეკლარაციას კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის განსახილველად შეიტანა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა.

რეზოლუცია იწონებს საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის საქმიანობას და ამაყოფილებს გამოთქვამს იმის გამო, რომ სულ უფრო ფართოვდება იმ დაბარების მასშტაბი, რასაც საბჭოთა ხალხი უწევს აზიისა და აფრიკის ქვეყნებსა და ხალხებს.

სპეციალური რეზოლუცია მიღებულ იქნა კონგოს შესახებ.

სტალინაბადის კონფერენციის მონაწილეებმა წერილით მიმართეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს. წერილში გამოთქმულია დიდი კმაყოფილება იმის გამო, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე შეიტანა წინადადებანი კოლონიური რეჟიმის სრული და დაუყოვნებლივი ლიკვიდაციისა და საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

• • •

კონფერენციაზე გაიმართა საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის არჩევნები. კომიტეტში არჩეულია 122 კაცი. იმავე დღეს კომიტეტის პლენუმმა აირჩია პრეზიდიუმი 25 კაცისაგან. საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია მირზო თურსუნ-ზადე, თავმჯდომარის მოადგილედ — ა. ვ. სოფრონოვი.

პრეზიდენტ ნასერის გამოსვლა

ტ. ქივკოვის ინტერვიუ

სოფია, 13 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ბულგარეთის დეპეშთა სააგენტოს კორესპონდენტი კლივლენდიდან იუწყება, ნიუ-იორკიდან კლივლენდს გაფრენის წინ, სადაც ბულგარეთის დელეგაციის ხელმძღვანელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე ტ. ქივკოვი სტუმრად იყო თვალსაჩინო ამერიკელ მრეწველთან და სახოგადო მოღვაწესთან საიროს იტონთან, ტ. ქივკოვმა იტერვიუ მისცა იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლის სააგენტოს კოროსპონდენტს.

შეეხო რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის მუშაობას, ქივკოვმა აღნიშნა, რომ ამ სესიაზე საეჭვოა პრაქტიკულად გადაიჭრას ჩვენი დროის საკვანძო საკითხები— საყოველთაო და სრული განიარაღების, კოლონიალიზმის ლიკვიდაციის, ცივი ომის მოსპობისა და ხალხთა მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის საკითხები, — უმთავრესად იმპერიალისტთა, უწინარეს ყოვლისა კი ნატოს მონაწილე სახელმწიფოთა წინააღმდეგობისა და მაქინაციების გამო. მაგრამ დრო, ხაზგასმით აღნიშნა ტ. ქივკოვმა, სიმართლის გამარჯვებას ემსახურება, სიმართლე კი — ხალხთა მხარეზეა, რომელნიც ესწრაფვიან მშვიდობას, ურთიერთგაგებასა და თავისუფლებას.

როცა ტ. ქივკოვი კლივლენდის მახლობლად ეწვია ს. იტონის ფერმას, გაბმართა იმპროვიზებული პრეს-კონფერენცია, რომელზეც ბულგარეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა პასუხი გასცა კლივლენდის გაზეთებისა და ტელევიზიის ჟურნალისტთა კითხვებზე.

კაირო, 13 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ პრეზიდენტმა ნასერმა სიტყვა წარმოთქვა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნული კრების სესიის სხდომაზე.

ნასერმა განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნა მნიშვნელობა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივისა, რამაც გამოიწვია ის, რომ გენერალური ასამბლეის სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა. „როცა ჩვენ მივიღეთ საბჭოთა კავშირის პრემიერ-მინისტრის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის წინადადება, რომ გენერალური ასამბლეის სესიის მუშაობა განხორციელებულიყო სახელმწიფოთა მეთაურების დონეზე, — განაცხადა ნასერმა, — ჩვენი აზრი ისეთი იყო, რომ ეს წინადადება დიდ ყურადღებას იმსახურებს როგორც საშინაო საერთაშორისო დაძაბულობისადმი წინააღმდეგობის ცდა“.

ამბები კონგოში, რომელიც აფრიკის შუაგულში მდებარეობს, გამაგრძო ნასერმა, აგრეთვე იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც გვიკარნახებდა, რომ საჭიროა მთავრობათა მეთაურებმა მონაწილეობა მიიღონ გენერალური ასამბლეის სესიის მუშაობაში, რადგანაც საფრთხეში იყო ჩაყენებული თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მომავალი.

აღნიშნა რა, რომ თავის სიტყვაში საერთო დისკუსიაში გენერალური ასამბლეის სესიაზე მან განაცხადა, რომ მხარი დაუჭირონ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მრავალი ქვეყნის მონაწილეობის უზრუნველყოფას, ნასერმა თქვა: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კარები უნდა გაიღოს ყველა ქვეყნისათვის სრულიად მიუკერძებლად დაუფანატიზმოდ. მე მინდა უწინარეს ყოვლისა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საჭიროა მოისპოს ყველა დაბრკოლება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სახალხო ჩინეთის მონაწილეობის გზაზე, აგრეთვე რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატივისცემა და გაფართოვდეს მისი საქმიანობა იმ მიზნით, რომ იგი არ გადაიქცეს ერთი ქვეყნის ან ერთი ბლოკის იარაღად, ან ცივი ომის ბრძოლის ველად. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უნდა იყოს, როგორც ეს სურდათ ამ ორგანიზაციის წესდების ავტორებს, სამართლიანობაზე დამყარებული მშვიდობის განმტკიცებისადმი მისწრაფების გამომხატველი“.

ნასერმა შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხი ფიზიზლად ადევნებს თვალყურს იმპერიალიზმის მოქმედებას და ყოველთვის მზადაა წინააღდეგეს იმპერიალისტთა მანევრებს, რა ფორმითაც და რა საბაბითაც უნდა განხორციელდეს იგი. ასეთი მანევრების მაგალითია, თქვა მან, კონგოს ამბები, სადაც იმპერიალიზმი შეეცადა გამოეყენებინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალამი იმისათვის, რომ დაეფარა თავისი მოქმედება, თავისი შეთქმულებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ კონგოს დამოუკიდებლობისა და მისი ეროვნული ერთიანობის ძირის გამოთხრას.

„ის ფაქტი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ არ შეასრულა თავისი ვალდებულებანი, — ხაზგასმით აღნიშნა ნასერმა, — შესაძლებლობას აძლევს ზოგიერთ ხარ ნრეებს უგულებელყონ ამ ორგანიზაციის არსებობა, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობას. ამის მაგალითია ალჟირის საკითხი, სადაც ხუთ წელზე მეტია გრძელდება სისხლისმსმენელი ომი. — მაშინ როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ შეუძლია გამონახოს ძალები, რათა შეაჩეროს ფრანგ იმპერიალისტთა მოქმედება“.

ნასერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ განიარაღება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების აუცილებელი წანამძღვარია.

შემდეგ ნასერი დაწვრილებით შეეხო სხვა სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურებთან თავისი პირადი შეხვედრების საკითხს და ხაზგასმით აღნიშნა ამ შეხვედრების დიდი მნიშვნელობა ცალკეულ ქვეყნებს შორის უთანხმოების აღმოფხვრაში.

ეიზენჰაუერთან შეხვედრის დროს ნასერმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს გააცნო თავისი თვალსაზრისი „კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მცდარი მოქმედების“ შესახებ, აგრეთვე მოაგონა მას, რომ „დასავლეთის ქვეყნები იარაღს აწვდიან ახრაელს“.

ნასერმა თქვა, რომ მან ეიზენჰაუერს მოაგონა აგრეთვე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ურყევი სურვილი, რომ აფრიკის ქვეყნები გახდნენ თავისუფალი, და რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა იბრძოლებს აფრიკაში ყოველგვარი ფორმისა და ყოველგვარი გამოვლინების იმპერიალისტური გავლენის წინააღმდეგ.

შეეხო რა თავის ორ შეხვედრას საბჭოთა მთავრობის მეთაურთან ნ. ს. ხრუშჩოვთან, ნასერმა თქვა: „ამ ორი შეხვედრის დროს შესაძლებლობა გვქონდა გაგვეანალიზებინა ჩვენი მეგობრული კონტაქტები, რომლებიც ემყარება ჩვენი აზრებისა და მრწამსის ურთიერთთანხმებას.

ჩვენი პირველი შეხვედრა მიეძღვნა ხალხთაშორისო მდგომარეობის საკითხთა განხილვას, მათს წან�ვითარებას, აგრეთვე იმ შესაძლებლობათა განხილვას, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვნენ გენერალური ასამბლეის სესიის მუშაობის შედეგად“.

რაც შეეხება მეორე შეხვედრას, აღნიშნა ნასერმა, იგი უმთავრესად მიეძღვნა საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის უშუალო ურთიერთობას. „მეგობრობის ღრმა ფესვები, რომლებიც ჩვენ საბჭოთა კავშირთან გვაკავშირებენ, — თქვა მან, — იმ ურთიერთობის მაგალითია, რომელიც უნდა არსებობდეს სხვადასხვა სოციალური სისტემის ქვეყნებს შორის. ეს ურთიერთობა დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დამოუკიდებელ პოლიტიკაში“.

შემდეგ ნასერი შეეხო ტიტოსთან, ნეჰრუსთან და სხვა ლიდერებთან თავის შეხვედრებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ ნეიტრალური ქვეყნები, როგორც მშვიდობისათვის მებრძოლი ძალები, და ეს, თქვა ნასერმა, განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო საერთაშორისო ცხოვრებაში.

დიდი მოგებანი

გუშინ გურჯაანის რაიონის სოფელ კაბრეთის შემნახველი სალაროს [illegible] 30 ნოემბრამდე [illegible] 10,000 [illegible] ბილეთი. [illegible] სალაროებში წარდგენილია რამდენიმე ობლიგაცია, რომელებსაც ხუთ-ხუთი ათასი მანეთი მოგება ხვდათ.

30 სექტემბერს გამართულ მოგებათა ტირაჟების შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში საქართველოს შემნახველმა სალაროებმა ანაბრალურეს ათასობით მოგება სესხის ობლიგაციებზე. მიმდინარე წლის 30 ნოემბერს გაიმართება ამ სესხის კიდევ ერთი მოგებათა ტირაჟი.

ამჟამად შემნახველი სალაროები ჰყიდიან ამ სესხის ობლიგაციებს, რომლებიც მოგებათა მე-14 დამატებითს ტირაჟში მიიღებენ მონაწილეობას.

• • •

ფულისა და ნივთების ლატარიის მოგებათა უკანასკნელი ტირაჟის შემდეგ ორ კვირაზე ცოტა მეტმა განვლო, მოგებანი კი ძირითადად თითქმის უკვე გაცემულია. როგორც ცნობილია, ავტომანქანა „ვოლგა“ მოიგო თბილისელმა მუშამ, ორი ავტომანქანა „მოსკვიჩიც“ თბილისელებმა მიიღეს. ერთი ავტომანქანა „მოსკვიჩი“ ტყიბულელმა მუშახტემ მოიგო. ბევრ მოქალაქეს უკვე გაგზავნა საწოლი, ოთახის გარნიტურები, პიანინოები, მაცივრები და სხვ.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში უკვე დიდი წარმატებით იყიდება ბილეთები ფულისა და ნივთების მეოთხე გამოშვების ლატარიისა, რომლის ტირაჟი 30 ნოემბრის გაიმართება ქ. თბილისში.

ბუნდესვერი შეესია საფრანგეთს

პარიზი, 13 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ნ. ლენსკი იტყობინება:

„შეშოსევა“. ასე ახასიათებს გაზეთი „ლუმანიტე“ საფრანგეთის სხვადასხვა რაიონიდან მიღებულ მრავალ ცნობას იმის შესახებ, რომ საფრანგეთის ბაზებში დიაწყო დასავლეთ გერმანიის ჯარების განლაგება.

თვითმფრინავები, რომლებსაც ფრთებზე შავი ჯვრები აქვთ გამოსახული, უკვე იყენებენ ქალაქ დიჟონის მახლობელ აეროდრომს, წერს გაზეთი.

დასავლეთ გერმანიის რამდენიმე სამხედრო თვითმფრინავი ამას წინათ იყო ქალაქ ორანეის (ვოკლიუზის დეპარტამენტი) აეროდრომზე. უკვე ახლა არავინ არ მალავს, რომ ყაზარმები, რომლებიც ახლა ამ ბაზის რაიონში, შენდება, გათვალისწინებულია ახალი ვერმახტის 2.000 ჯარისკაცისათვის.

გაზეთმა „ესტ-ეკლერმა“, რომელიც ქალაქ ბრიენ-ლე-შატოში (ობის დეპარტამენტი) გამოდის, აუწყა თავის მკითხველებს, რომ ბრიენ-ლე-შატოსა და მაბეიდა და უფრო სწრაფი რაკეტების დასამზადებლად. „საბჭოური უპირატესობა“

და „თავდაცვა“ — ეს ისეთი სიტყვებია, რომელთაც დაჰკარგეს თავიანთი მნიშვნელობა. ჩვენ ახლა უკვე გვაქვს იმაზე მეტი ბომბები, რაც საკმარისია რუსეთის რამდენჯერმე გასახადგურებლად. არავინ არ ამტკიცებს, რომ გვაქვს რაკეტული დარტყმისაგან თავის დასაცავი საკმაო საშხეფრო დაცვა ან რომ ასეთი დაცვა შეიქმნება, რაც შეეხება „დამნების“ თეორიას, იგი გამოცდას ვერ უძლებს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ბევრ ქვეყანას უახლეს ხანში ექნება ატომური შეიარაღება.

გამალებულ ატომურ შეიარაღებას ჩრდილში მივყავართ. უშიშროება ახლა დამოკიდებულია იმაზე, დამყარდება თუ არა მთელ მსოფლიოში ძალისადმი კონტროლი, და არა ძალისადმი მისწრაფებაზე. უშიშროება დამოკიდებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონტროლდაქვემდებარებულ განიარაღებაზე. ამიტომ ჩვენ — ყველა ადამიანი — უნდა შეგუეთრთდეთ იმ მოწოდებას, რომ რაც შეიძლება ადრე განახლდეს მოლაპარაკება...

ჩვენ მოგიწოდებთ მიაღწიოთ მტკიცე თანხმობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონტროლდაქვემდებარებული სრული და საყოველთაო განიარაღების შესახებ. ჩვენი მოწოდებაა — დაწყებულ იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში თავმოყრილი ახალი მოლაპარაკება.

ტელეგრაფი გვატყობინებს

სასამართლო პროცესი თურქეთში

სტამბოლი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს დილით ისანადის კუნძულზე მარმარილოს ზღვაში, დაიწყო თურქეთის მთავრობის ყოფილ ხელმძღვანელთა და მმართველი დემოკრატიული პარტიის მოღვაწეთა სასამართლო პროცესი, რომლებიც დაამხეს 1960 წლის მაისის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად.

ბრალდებულთა შორის არიან თურქეთის ყოფილი პრეზიდენტი ჯელალ ბაიარი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ადნან მენდერესი და სხვ. პროცესზე ბრალდებულთა საერთო რიცხვი 500 კაცს აღწევს.

დამნაშავეთ წაყენებული აქვთ ბრალდება, რომ არღვევდნენ კონსტიტუციას, იტაცებდნენ სახელმწიფო ფონდებს, ჩაიდინეს მრავალრიცხოვანი ბოროტმოქმედება, კორუფცია და სხვ. ათელი რიგი პირების, მათ შორის ბაიარისა და მენდერესის მიმართ საბრალმდებელო დასკვნა სიკვდილით დასჯას მოითხოვს.

მოგუტუ ოპოზიციას ემუქრება

პარა, 14 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ბრაზავილიდან გაზეთ „განატიმსის“ კორესპონდენტი იუწყება, პოლკოვნიკი მობუტუ დაემუქრა ოპოზიციას. იგი იმუქრებოდა, რომ მალე ყველა მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს დააპატიმრებენ და სიკვდილით დასჯიან. მობუტუმ ეს განცხადება გააკეთა მას შემდეგ, რაც შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს კონგოში ტიმბერლეიკს.

შეწყდეს გამალებული შეიარაღება

ნიუ-იორკი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). გონივრული ატომური პოლიტიკისათვის ბრძოლის ეროვნულმა კომიტეტმა გაზეთ ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოაქვეყნა განცხადება, რომელითაც მოუწოდებს მკითხველებს, რომ გიგზავნონ პრეზიდენტ ეიზენჰაუერს, ვიცე-პრეზიდენტ ნიქსონსა და სენატორ ჯონ კენედის ასეთი შინაარსის წერილი: „ჩვენ არ გვინდა გამალებული შეიარაღება, გვინდა განიარაღება“.

განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია: მოდით საღად გილაპარაკოთ ეროვნული უშიშროების შესახებ. უშიშროებას მართლა იმ გზით ვერ მივაღწევთ, რომ გავადიდოთ ხარჯები უფრო ძლავრი ბომბე-

ამერიკაში გაუშვეს „ატლასი“

ნიუ-იორკი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის საინფორმაციო სააგენტოთა ცნობით, დღეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებმა კანაველალის კონცხიდან (ფლორიდა) გაუშვეს საკონტინენტთაშორისო რაკეტა „ატლასი“, რომლის წინა ნაწილში იყო რადიაციის გასაზომი ინსტრუმენტები, აგრეთვე სამი თაგვი.

როგორც სააგენტოები აღნიშნავენ, რაკეტამ გაიარა 5 ათასამდე მილი. მისი წინა ნაწილი ჩავარდა ატლანტის ოკეანეში და ამოიღეს წყლიდან რაკეტის გაშვების დაახლოებით სამი საათის შემდეგ.

ჰავანის ბანკი ეროვნულდება

ჰავანა, 13 ოქტომბერი. (საკდესი). ჰავანის ბანკი ეროვნულდება. ეროვნულ ბანკად ეროვნულდება ასევე ბანკი „ბანდეირანტეს“ ბანკი „ბანდეირანტეს“ ბანკი „ბანდეირანტეს“